ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული სამართალი: საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება

(თებერვალი, 2013 წ)

ავტორი: ნინო ცუხიშვილი
IDFI-ის სამართლის ექსპერტი/ ღია საზოგადოების ფონდის ადამიანის უფლებათა სტაჟირების პროგრამის 2013 წლის სტიპენდიანტი

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია ინფორმაციის მიღების უფლება ევროპის საბჭოს 47 წევრ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს ავტორიტეტულ საერთაშორისო სტანდარტს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომლითაც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ ინფორმაციის მიღების უფლების ეფექტური განხორციელებისას ეროვნულ დონეზე. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მჭიდრო კავშირშია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ ინფორმაციის მიღების უფლებასთან. სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია და კრიტიკული მოსაზრებები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. საჯარო ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს ურთიერთსაპირისპირო ინტერესების შეფასებისას სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი საჯარო ორგანოებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-

10 მუხლის ფარგლებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განსხვავებულ ინტერპრეტაციას. წლების განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში არ მოიაზრებდა საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას და სახელმწიფოს არ აკისრებდა პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყო ინდივიდისათვის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტების მიწოდება.[1] სასამართლოს ზოგადი პოზიციის მიხედვით, რთული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან საჯარო დაწესებულებაში დაცულ მონაცემებსა და დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ინტერპრეტაცია, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებებში ყოველთვის უთითებდა, რომ ,,ინფორმაციის მიღების უფლება უკრძალავს მთავრობას შეუზღუდოს პირს იმ ინფორმაციის მიღება, რომლის მიწოდებაც სხვებს სურთ მისთვის“[2] და ასევე აღნიშნავდა, რომ ,,მე-10 მუხლი წინამდებარე საქმის მსგავს გარემოებებში არ ანიჭებს პირს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას“,[3] რითაც მომავალში იტოვებდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს არ უარუყვია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება ყველა ზემოთ აღნიშნულ საქმეში, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლომ საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე და დაადგინა, რომ შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არღვევდა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას. [4]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2006 წლის 10 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმეზე **Sdruzeni Jiboceske v Czech Republic** შეცვალა თავის მიდგომა და დაადგინა, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარი წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ შეაფასა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარი მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და აღნიშნა, რომ ,,როდესაც მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს მაღალი საჯარო ინტერესის საგანს ან მიმდინარეობს საჯარო დისკუსია

[1]Leaden v Sweden, 26 მარტი, 1987 წ.; Gaskin v the United Kingdom, 7ივლისი, 1989 წ.; Guera v Italy, 9 თებერვალი, 1998 წ.; Mc-Ginley and Egan v the United Kingdom, 9 ივნისი, 1998 წ.; Odievre v France, 13 თებერვალი, 2003 წ.; Sirbu and others v Moldova, 15 ივნისი, 2004 წ.

[2] Leaden v Sweden, 26 მარტი, 1987 წ. პრ. 74; Gaskin v the United Kingdom, 7ივლისი, 1989 წ. პრ. 52; Guera v Italy, 9 თებერვალი, 1998 წ, პრ. 53.

[3] Leaden v Sweden, 26 მარტი, 1987 წ. პრ. 74; Gaskin v the United Kingdom, 7ივლისი, 1989 წ. პრ. 52; Guera v Italy, 9 თებერვალი, 1998 წ, პრ. 53.

[4] Gaskin v the United Kingdom, 7 ივლისი, 1989 წ.; Guera v Italy, 9 თებერვალი, 1998 წ.;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფოს უარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით უნდა დაექვემდებაროს საზოგადოების მხრიდან მკაცრ ზედამხედველობას და უნდა შეიცავდეს შესაბამის და საკმარის დასაბუთებას.“[5] განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ინფორმაციის გაუცემლობა გამართლებული იყო მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით ეროვნული უსაფრთხოების, სხვათა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2007 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე **Timpul Info-Magazine and Anghel v Moldova** არაპირდაპირ დაადგინა საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება და აღნიშნა, რომ ,,სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემზღუდველი ნებისმიერი ღონისძიების საფუძვლიანი დასაბუთება, რომლის მიღების უფლება საზოგადოებას გააჩნია.“[6] აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ განმარტა, რომ კერძო კომპანიები, რომლებიც სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე განკარგავენ სახელმწიფო ფინანსებს უნდა დაექვემდებარონ საზოგადოების მხრიდან მკაცრ ზედამხედველობას აღნიშნული საკითხის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარდამავალი პერიოდი დაასრულა 2009 წლის 14 აპრილს, საქმეში **Tarsasag a Szabadsagjogokert v Hungary,** სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ფართოდ განმარტა და ცალსახად სცნო საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ითხოვდა პარლამენტის წევრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ სარჩელს, რომელიც შეეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიის მსგავსად, გააჩნიათ სოციალური მეთვალყურის ფუნქცია და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათთვის ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის გამო. ამავე წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში **Kenedi v Hungary** კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საჯარო ორგანოების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ

[5] Sdruzeni Jiboceske v Czech Republic, 10 ივლისი, 2006 წ.
[6] Timpul Info-Magazine and Anghel v Moldova, 27 იანვარი, 2007 წ, პრ. 31.

გამოხატვის თავისუფლების ეფექტიანად განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისტორიული კვლევისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების დედნებზე ხელმისაწვდომობა.[7]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საჯარო ინტერესის ტესტის გამოყენებას სახელმწიფოების მიერ ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში. სასამართლომ საქმეზე **Guja v Moldova** განმარტა, რომ ,,საჯარო ინტერესი კონკრეტული ინფორმაციის მიმართ შესაძლოა ისეთი მაღალი იყოს, რომ გადაფაროს აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება"[8] და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევებში, ჟურნალისტები, საჯარო მოხელეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქტივისტები არ უნდა დაექვემდებარონ სახელმწიფოს მხრიდან სანქციების დაწესებას კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საფუძვლით.[9]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში აღიარებს სახელმწიფო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას აღნიშნული ინფორმაციის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე და სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ დაინტერესებული პირისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდება, ისევე როგორც ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება. შესაბამისად, საქართველომ, როგორც ევროპის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა სახელმწიფომ, უნდა უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობისა და მისი იმპლემენტაციის შესაბამისობაში მოყვანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტანდარტებთან და დანერგოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჯარო ინტერესის ტესტის ეფექტური გამოყენება საჯარო ინფორმაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სტატია მომზადდა ღია საზოგადოების ფონდის (OSF) ადამიანის უფლებათა სტაჟირების 2013 წლის გრანტის ფარგლებში.

სტატიაში გამოქვეყნებული მოსაზრებებზე პასუხისმგებელია IDFI (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) და შესაძლებელია ისინი არ ემთხვეოდეს ღია საზოგადოების ფონდის შეხედულებებს.

[7] Kenedi v Hungary, 26 მაისი, 2009 წ. პრ. 36.
[8] Guja v Moldova, 12 თებერვალი, 2008 წ, პრ. 43.
[9] Peev v Bulgaria, 26 ივლისი, 2007 წ. პრ. 72.